№ 8

23 თებერვალი

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

1909 წ.

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, ред. газ. „ИВЕРІА“ К. П. Туманову.

გაზეთი „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ექვლეგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

ᲬᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲛᲐᲜ.

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. თუმანიშვილი.

რუსული ეოველ-დღიური გაზეთი

„Закавказье“

ფასი წლიურად ტფილისში 6 მან. ნახევარის წლით 3 მან. 50 კაპ. ტფილისს გარეთ წლიურად 8 მან. ნახევარი წლით 4 მან. 50 კაპ. თვიურად ექვლეგან 75 კაპ.

ადრესი: Тифлисъ. Эриванская площадь, д. Гургенова, рядъ съ конторою нотаріуса Мгеброва. 0—1

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲜᲔᲠᲒᲔ

„ᲙᲚᲝ-ᲧᲒᲣᲠᲣᲚᲘ“ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ᲛᲗᲔᲚ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲯᲘᲨᲘᲡ ᲕᲐᲖᲔᲑᲘ

1200 ᲯᲘᲨᲘᲡ ამერიკული, ევროპიული და აზიური ღვინის და საკმელ ყურძნის და გიბრიდები პირდაპირ დასარგველი.

ᲞᲠᲔᲘᲡ-ᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲡᲜᲐ-ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲔᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲗ. (3—3).

ᲙᲐᲮᲔᲚ ᲛᲔᲓᲒᲘᲜᲔᲗᲐ ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ

ᲡᲐᲔᲠᲝ

ამხანაგობის წევრთა ენაახების ღვინო ბოთლი 25 კაპ. და მეტიც.

შედმაგ შუშტრეს დეინო დაკეულებულ ფასებში ეძლევათ

ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲐᲜᲖᲔ, ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲒᲐᲡᲚᲐᲨᲘ

ტელეფონის № 720. 0—1

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛ.

ᲘᲪᲮᲝᲕᲡ ᲑᲑ. ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთ მობრძანდენ ამა წლის 24 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ სამაზრო კრებაზე. საარჩევნო ცენზის და კრებაზე მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ცენზის მქონე თავად-აზნაურებმა ამის დასამტკიცებელი საბუთები ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში 22 თებერვლამდის უნდა წარმოადგინონ. 2—1

ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲘ

აუწყებს თავად-აზნაურთ, რომ ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობის კრება, რომელიც წინ უძღვის ხოლმე ჩვეულებრივ საგუბერნო კრებას, დანიშნულია 1909 წ. 1 მარტს, დილის 11 საათზე, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს საღგ. მაზრის წინამძღოლი სთხოვს თავად აზნაურთ მობრძანდნენ კრებაზე საცენზო საბუთებით (ნასყიდობის ქაღალდებით, გეგმით და სხვა) იმ თავად-აზნაურთა სიების შესამოწმებლად, რომელთაც ხმის უფლება აქვთ თავად-აზნაურთა საგუბერნო კრებაზე 24 მაისს 1909 წელს ტფილისში.

წარმოდგენა 3. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ წარმოდგენა 3.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 25 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ 1909 Წ.

ქართული დრამატიული სზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

✦ პირველათ ახალი პიესა ი. პოტაპენკოსი ✦

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

4 მოქმედებათ თარგ. ალ. იმედაშვილისა.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲝᲑᲐᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲗ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარკარეშვილი, ბ. ნუბარიძისა, ა. ქიდირეშვილი ნ. ჯაჯანიშვილი. ბ-ნნი: ვ. ბუნია, ნ. ბეკრაძე, ს. იმედაშვილი, ი. იფანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშვილი, ი. ეფიძე, კ. შთიერიშვილი, ვ. შადიკაშვილი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივი. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲣᲠ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ.

ᲛᲮᲘᲓᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲗ: „ᲩᲐᲠᲩᲢᲐ“, „ᲓᲓᲔᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ“ (სტუდენტის საყვარელი).

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. ✦ რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკისა

წესდების 82, 83, 84, 85 და 86 მუხლების თანახმად ატყობინებს მსესხებლებს, რომელთაც წაღებული აქვთ სესხი ერთმანეთის პასუხისმგებლობით, რომ ქვემოთ აღნიშნულ დღეებში დილის 10 საათზე, ბანკის შენობაში ქ. ტფილისში დანიშნულია საარჩევნო კრებები 1909—1911 წლებისთვის 105 წარმომადგენლის ასარჩევად. პირველ კატეგორიისა ამა წლის 26 თებერვალს (35 კაცი), მეორე კატეგორიისა 17 თებერვალს (35 კაცი) და მესამე კატეგორიისა 28 თებერვალს.

რომდენი მსესხებელიც უნდა მოვიდეს საარჩევნო კრებები მაინც შესდგები, იმ პირთა სიები, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენლები არჩევაში განცხადების დღიდან გამოკიდულია ბანკის შენობაში: ამ სიებიდან გაიგება, ვინ რომელ კატეგორიაში მოთავსებულია.

ᲓᲘᲓᲘ

ᲙᲘᲓᲔᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ

იხ. მე 4 გვერდზე.

ᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ 1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ 10 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲘᲡ ᲤᲐᲡ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲜᲔᲗᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

 Მ. Გ. ᲩᲘᲚᲘᲜᲒᲐᲠᲝᲕᲘᲡ

ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ

ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲔᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲐᲗ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲘᲡ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲣᲘᲐᲤᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲣᲫᲕᲘᲠᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲣᲛᲜᲘᲡᲐ, ᲤᲐᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ: ᲨᲐᲚᲘᲡ, ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲠᲣᲫᲔᲕᲘᲡ ᲑᲚᲣᲨᲙᲔᲑᲘ, ᲩᲣᲚᲙᲔᲑᲘ, ᲮᲔᲚᲗᲗᲐᲛᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲠᲢᲧᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲧᲔᲚᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲗᲘᲡ ᲒᲐᲚᲡᲢᲣᲢᲣᲑᲘ, ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲡᲐᲮᲝᲪᲔᲑᲘ, ᲡᲣᲚᲙᲔᲑᲘ, ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ, ᲨᲐᲚᲘᲡ, ᲢᲘᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲘᲚᲝᲡ ᲜᲐᲬᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲚᲣᲨᲙᲔ.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲘᲨᲘᲕᲙᲔᲑᲘ, ᲰᲠᲝᲨᲘᲕᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲨᲘᲔᲑᲘ, ᲒᲣᲚᲐᲚᲔᲑᲘ, ᲮᲝᲜᲢᲘᲙᲔᲑᲘ, ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲨᲐᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲝᲣᲑᲙᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲔᲣᲚᲘ ᲛᲠᲐᲕᲚᲐᲓ

ᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲝᲕᲔᲚ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘᲡ 1000 ᲪᲐᲚᲐᲛᲓᲘᲡ. ᲘᲔᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲮᲚᲓᲒᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

ᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔᲓᲘᲜᲘᲡᲐᲜ 10 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲘᲡ ᲤᲐᲡ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔᲓᲘᲜᲘᲡᲐᲜ 10 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲘᲡ ᲤᲐᲡ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ 1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ 10 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲘᲡ ᲤᲐᲡ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖ. ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით ატყობინებს საზოგადოების წევრებს, რომ 15 თებერვალს ჩვეულებრივი კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო და ამიტომ ეს კრება დანიშნულია 15 მარტს, ქ. გორში, დილის 11 საათზე საზოგ. საღგ. 3—1

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲮᲖ.

ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐ

დაიწყეს წაღება სხვა და სხვა დამყნილ ვაზისა

საჭირო ცნობების და პრეისკურანტების მიღება შეიძლება გამ. გ. მ. ჩივაძისაგან. 0—1

ᲙᲐᲤᲔ ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

ტფ. ოპერა-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ თეატრის ეზოში (Дворцовая ул.)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაჟოკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘ

ᲪᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲘᲔᲑᲘ 25 კ. ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ

სასმელი წყლები

ᲚᲣᲓᲘ, ᲡᲐᲓᲘᲚᲘ

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲐ

ს. სუფთაევ და კარგი სამსახური 0—1

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑ სოფლის და ქალაქის მამულების

ᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐᲡ

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8½—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ

ᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 31

ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲑᲐᲥᲝᲨᲘ



„ᲥᲛᲝᲑᲐ“

0—1

ტფილისი 23 თებერვალი

საკვირველია ის აზრების უცნაური არევ-დარევა, რომელიც ჩვენში მომძვრენ პოლიტიკურ პარტიებს ეტყობათ.

შეუწყნარებელია ის ცალმხრივობა, რომელსაც იგინი იჩენენ...

მთელ დაინაკუთრეს ხალხის დამეკუთვნა სახელი და სხვას ნებას აღარ აძლევენ ხალხის ქომაგად გამოვიდეს, თუ მასთან ერთად ამ პარტიების პროგრამაზე პირველი არ დაიწერა და პარტიების მეთაურთა ხელმძღვანელობას არ დაემორჩილა.

თქმა არ უნდა მას, რომ მთელი ერი ვერასოდეს ვერ იქმნება სოციალისტური იდეალების მიმდევარი, რომ ხალხში ყოველთვის იქმნება არა სოციალისტური ელემენტებიც... ცხადია ისიც, რომ ამ არა სოციალისტურ ელემენტებშიაც იქმნება ხალხის კეთილდღეობის სურვილით გულწრფელად გატაცებული არა ერთი ადამიანი, რომ არა სოციალისტსაც შეუძლია ხალხს ბევრი სარგებლობა და სიკეთე მოუტანოს, რომ შეიძლება ხალხის ცხოვრებაში ხშირად ისეთი მომენტიც იყოს, როდესაც სწორედ ამ არა სოციალისტურ ელემენტებს უფრო შეუძლიათ ხალხის სიკეთე, ვიდრე სოციალისტური იდეალებით გამსჭვალულ პარტიებს.

ეს ყველამ იცის, აქ საეჭვო არაფერია, მაგრამ ჩვენებური პოლიტიკური პარტიები ამას ვერ ამბობენ და ყოველთვის, საცა არა სოციალისტური ელემენტები ცდილობენ ჩვენში ხმა ამოიღონ, წელში გაიმართონ და ნიადაგი მოამზადონ ცალკე, არა სოციალისტურ პარტიების დასაარსებლად,—საზოგადოებაში და პრესაში ერთი განგაში იწყება, მოწინააღმდეგეს დევნა, პირადი დამცირება, მისი აზრების სახელის გატეხა და „სხვა და სხვა ზომები“ იმისთვის, რომ მოწინააღმდეგე აზრების გავრცელებას ხელი შეეშალოს და დაუძლეველი დაბრკოლებები წინ დახვდეს.

ასე ყოფილა წინეთ, ასეა ახლაც. მართალია სხვა და სხვა პარტიულ გამოცემებში აკი იქ ის აზრიც გამოუთქვამთ, რომ სოციალისტურ პარტიებისთვის საჭიროა არა სოციალისტურმა ელემენტებმა განსაკუთრებულ პარტიების მოწყობა მოაბერხონ, მაგრამ ეს სურვილი ყოველთვის ქაღალდზე დაწერილ სურვილად რჩებოდა და ადვილად ივიწყებოდა, როდესაც არა სოციალისტები მის განსახორციელებლად ერთ ნაბიჯს გადასდგამდენ.

სწორედ ამნაირადვე რუსეთის თავრობა აცხადებდა ხოლმე, რუსეთში სარწმუნოების თავისუფლება არისო, ყველას უფლება აქვს ამა თუ იმ სარწმუნოების მიმდგომად იყოსო, მაგრამ ამასთან ერთად სასტიკად სჯიდა ამა თუ იმ სარწმუნოების ქადაგებას, და მის გავრცელებას არავის აცლიდა.

არა სოციალისტური პარტია თავის თავად ერთი თვალის დახამხამებაში ხომ ვერ შესდგება, მის შესადგენად საკმარისი არ არის ორიოდე კაცის სურვილი, რამდენმე ფურცლის გამოცემა ან ერთ ყრილობაში სიტყვის წარმოთქმა,—საჭიროა გამუდმებული შრომა ხალხში ამა თუ იმ აზრის გასავრცელებლად, საჭიროა ხალხში შეგნების შეტანა, რომ ხალხის ნაწილი, რომელიც თავის მდგომარეობით და სურვილებით სოციალისტურ იდეალებს ვერ მიეკედლება, თან და თან გამოცალკევდეს და ერთ ან რამდენიმე არა სოციალისტურ პარტიად ჩამოყალიბდეს.

ეს გამოცალკევება, ეს ჩამოყალიბება ძნელდება ჩვენში იმით, რომ ჩვენებური სოციალისტური პარტიები ყოველივე საამისო ცდას მტრულად ეკიდებიან და ხალხში შეგნების შეტანის მაგიერად არა სოციალისტურ ელემენტებზე ცრუ და ყალბ ცნობებს ავრცელებენ.

ამის მაგალითი ჩვენ „გაზეთიც“ არის,—ჩვენ გულ ახდილად გამოვთქვით ზოგიერთი რამ, რასაც ბევრი ჩვენში მხოლოდ ფიქრობდა, ამითი გვინდოდა ჩვენი წვლილი შეგვეტანა არა სოციალისტურ ელემენტების შეკავშირების საქმეში,—ჩვენი მხრივ ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულებას ვადექით...

რა ჰქმნეს, როგორ დაუხვდენ ამ სიტყვებს ჩვენი გაზეთებიც,—„ივერიის“ თავადაზნაურული გაზეთი უწოდეს, თუმცა ძალიან კარგად იციან, რომ იგი თავად-აზნაურულ ინტერესებს არც იცავს და ვერც დაიცავს. ცდილობენ მათთან პოლემიკა შეუძლებელი გახადონ, თუმცა იციან, რომ ხშირად პოლემიკა საუკეთესო საშუალებაა სხვა და სხვაობის აღმოსაჩენად, პოლიტიკური მაბეზღრებიც დაგეჭახეს, „ოდესაც ერთ ერთი საროკლამაციო ფურცელს შენაარსი მოვიყვანეთ იმის-დასამტკიცებლად, რომ პარტიები ჩვენში „ისეთნი“ ღერსა და მემამულეთა მოკალთნი მთ ქონების დასაკუთრებას ქადაგობდენ... პურიშკევიჩ-დუბროვინ-კრუშევანს გვარქმევენ,—რა აროს ეგება „ივერიელთა“ სიტყვა ხალხმა აღარ დაიჯეროსო.

ტყუილი იმედი! ხალხში იმდენი შეგნება მაინც არის დღეს, რომ თქვენ სიტყვას უწინდელივით გულუპყვარილოდ აღარ დაენდოს, და როცა თქვენ პურიშკევიჩ-კრუშევან-დუბროვინს გვეძახით, იგი თქვენვე აღარ კითხავთ ამის საბუთს, თვითონაც კარგად იცის, ჩვენში ვინ უფრო წაადგა ამ ხულიგანებს, თქვენ, თუ ივერიელნი?

მართლაც „ივერია“ განა ქადაგობს ხალხში ერთ ნაწილის გაბატონებას და სხვების დაჩაგვრას, როგორც ამას თქვენ ჩადიოდით, როგორც ამას დუბროვინ-კრუშევან-პურიშკევიჩებიც ჩადიან?

„ივერია“ განა ცდილობს პაგრომების მოწყობას, მოწინააღმდეგისა ამოყლეტას, სისხლის ღერას და ძალადობას,—რასაც პურიტებს ბრალებენ ჩვენში, რასაც პურიშკევიჩ—დუბროვინ-კრუშევანებს ბრალდებენ რუსეთში.

ივერიელნი იჩენდენ განა როდისმე ვიწრო სეკტანტობას და ცდილობდენ განა როდისმე სხვის თავისუფლების შეზღუდვას, როგორც „ზოგიერთები“ და როგორც რუსეთის პურიშკევიჩ-დუბროვინ-კრუშევანები?

„ივერია“ თავის მოწინააღმდეგეს ლანძღვა-გინებით განა უმასპინძლდება, როგორც თქვენ. გჩვევიათ?

პურიშკევიჩ-დუბროვინ-კრუშევანების სახელი თქვენ უფრო გეკუთვნი, რადგანაც თქვენი პოლიტიკურ ბრძოლის ტაქტიკა ამ ვაებატონების ტაქტიკას მეტად წაადგა და ამ ვაებატონებმა კი სწორედ თავიანთ ტაქტიკით კაციჭამიების სახელი დიმსახურეს.

აზიეის საქმემ დაგვანახა ჩვენ და ხალხსაც დაანახა, რომ უკიდურეს პოლიტიკურ პარტიებში ყოფილა პროვოკატორები, ე. ი. ისეთი პოლიციაში საიდუმლო მოსამსახურე პირები, რომლებიც ამ პარტიებშიც მონაწილეობას იღებენ და თავიანთ პარტიულ ამხანაგებს ამა თუ იმ გამოსვლით თანავრობასთან ბრძოლას ურჩევენ, რომ შემდეგ, საქმის ასრულების დროს, მონაწილეობის მიმღებნი პოლიციას დაეჭერინონ. ვინ არის იმის თავდები, რომ ჩვენშიაც ასეთი აზიეები არ მოქმედობენ, რომ ჩვენებურ პარტიების მეთაურები ხშირად ამ აზიეების რჩევით არ ადგებოდენ ამა თუ იმ გზას რომელიც შემდეგ ხალხისთვის დამტეველი გამოშდგარა.

უკიდურესმა პარტიებმა გულდასმით უნდა გადაათვალიერონ ყველაფერი, რაც ამ სამი წლის წინეთ ითქვა და დაიწერა ჩვენში ამ პარტიების სახელით და სრული დარწმუნებული ვართ, რომ ხშირად, მეტად ხშირად ნამდვილ პროვოკატორობას წაადგენენ.

ერთ მაგალითსაც გავახსენებ მათ და მკითხველებსაც. იმ დროს „ივერია“ ფ. გოგიჩაიშვილის რედაქტორობით გამოდიოდა. რაკი უკიდურესი მემარცხენეები ხალხს ყოველ დღე უმასპინძლდებოდენ იმავე ქადაგებით,—ბარიკადები, ბარიკადებია, რაკი ხალხს არწმუნებდენ, ბარიკადებზე თავრობის ჯარებს დავამარცხებთო, ტ ამ გაზეთში გამოითქვა რჩევა,—ბარიკადების იმედი ნუ გექმნებათ, რადგანაც ახლა ჯარიც სხვა რიგად არის შეიარაღებული და ქალაქიც სხვა ნაირად აშენებული,—გაზეთის რედაქტორს თითქმის შავრაზმელის სახელიც აღარ აკმარეს ...

და იგი განა მართალი არ იყო? მისი რჩევა, ხალხისადმი სიყვარულით გამოწვეული, განა ხალხისთვისაც უფრო სასარგებლო არ იყო, ვიდრე უკიდურეს მემარცხენეთა „ეიკაკიური“ ბარიკადები? და ამ ბარიკადებისკენ ხალხს რომ იწვევდენ დამარცხების მოსაპოვებლად, ეს მოწვევა განა ან სისულელე ან პროვოკატორობა არ იყო?

უკიდურეს მემარცხენე პარტიების სიტყვა და დაპირება ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში არ გამართლდა და მათი რჩევა ყველა საქმეში ხალხისთვის საზარალო დარჩა.

რად უნდა ვიფიქროთ ჩვენ ან რად უნდა იფიქროს მკითხველმა საზოგადოებამ, რომ ახლა „ივერიელებიც“ ბრძოლაში ისინი მართალნი არიან და ხალხისთვის ისევ საზარალო რამეს არ ამბობენ? ჩვენ არაფითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ მათ შეიგნეს თავიანთი უწინდელი შეცდომები და შემდეგში აღარ განიმეორებენ, არა გვაქვს საბუთი, რადგან ახლაც მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ისევ ძველ ორნებს მიმართავენ ხოლმე,— კრუშევან-პურიშკევიჩ-დუბროვინების ხსენებას აქ, სადაც მათი ხსენება უადგილია, არსებით პოლემიკის უარის ყოფას, საქმის ჩაფუჭჩეჩების და ფარილმანების გამოკიდებას.

დრო შეიცვალა, დრომ დროებითვე შეცვალა ჩვენებური მემარცხენე სოციალისტები, ისინი უცდიან იმას, რომ, ისევ დადგეს მათი ბატონობის დრო, საჭიროა არა სოციალისტურმა ელემენტებმა იმ დროისათვის მეტი შეგნება, მეტი ორგანიზაციის ნიჭი გამოიჩინონ, თორემ მეორედ რომ აზვირთდება რევოლუციის ზღვა, ხალხის ძალები სოციალისტების ხელში იქმნებიან და ხალხი ისევე დამარცხებული დარჩება.

„სოციალისტების“ ხელში ჩვენი ხალხი ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებს.

კ. თუმანიშვილი.

ჩემი ღღიური

—

მკი ხვეულს ალბად არ დავიწყებია, რომ „ივერიის“ უკანასკნელ ნომერში აღნიშნული იყო მუშათა ინტერესების დამცველ რედაქციის ვაჭრული ქკუა, რომელმაც ამ გაზეთში მომეშვიე ამწყობებს უქმეები მოუსპო. ასეთს ქცევას ჩვენ უპირველესობა ვუწოდეთ და მკითხველი საზოგადოებაც ადვილად დაგვეთანხმება, რომ აქ მართლაც უპირველობა და ვაჭრული ქკუა უფრო მოქმედებდა, ვიდრე გაზეთის რედაქციისაგან მუშათა ინტერესების დაცვის გულწრფელი სურვილი. ამ უქმეების წართმევას დიდი პრინციპიელური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მუშათა ინტერესების დამცველი რედაქცია საჭიროდ და შესაძლებლად თუ სთვლის ამ წართმევას, სხვა გამომცემლებს ამით ხომ საბუთი ეძლევა ასევე მოექცნენ თავიანთ მუშებს და ისინი უქმეებში ამუშავონ. ორიოდე გროშის გულისთვის, რომელიც ზედმეტ ნომრის გამოცემით შეეძინა რედაქციის კასსას, არ შეიძლებოდა ასეთ მნიშვნელოვან საკითხში აჩქარება, მით უფრო რომ თვით ამწყობები, როგორც ამბობენ, ამ ზედმეტ მუშაობის მომხრენი არა ყოფილან.

ამ შემთხვევის აწერაში ჩვენ სხვათა შორის ნათქვამი გვქონდა, რომ „ჩვენი ხმა“ რედაქციამ შეუთვალა „დროების“ რედაქციას, ხვალინდელ დღეს ვიუქმებთო და ნამდვილად კი ამ დღეს იმუშავა და ნომერი გამოსცა. „დროების“ რედაქციამ ამის პასუხად გამოაცხადა, ჩვენთვის უქმობის შესახებ არაფერი არაფერი შემოუთვლიაო, ვიუქმეთ ყველიერი, როგორც ყოველთვის ვუქმობდითო. ახლა „ჩვენი საქმეც“ ამ მოწმობით გახარებულია და ვვისაყვედურებს,—ტყუილი დაგიწერიათო.

მთა აციწყდებათ, რომ ჩვენი წერილი ისს კი არ შეეხებოდა არსებითად, შეუთვალა თუ არა ერთმა რედაქციამ მეორეს „ოფიციალურად“ რომ, არამედ იმის, რომ მუშათა ინტერესების დამცველმა რედაქც ამ ამწყობები უქმეებშიაც ამუშავა და „ჩვენი საქმე“ **ამიზედ** არაფერს ამბობს და მკითხველ საზოგადოებას და ბანაგებს არაფერს ატყობინებს იმ მიზეზებზე, რომელთაც აიძულეს ამწყობებთან ასეთი მოქცევა. რომელიმე „ბურჟუა—კაპიტალისტს“ რომ ექმნა ეს საქმე, თვით „ჩვენ საქმეში“ ხომ! გამოიკითხოდა რამდენიმე ლანძღვის წერილი იმაზე, რომ ბურჟუები „ჰყვლეფენ“ მუშებს და „მათის ოფლით ჯიბეებს ისქელებენო“.

და ამ ფაქტის აღნიშვნას თუ შეუძლია რედაქცია მუშებს წაკიდოს, ჩვენი ბრალი ხომ არ არის, ბრალი თვით „ჩვენი ხმის, რედაქციას ედება, რომელსაც ვაჭრულმა ქკუამ მუშათა კლასსის ინტერესები დროებით გადაავიწყა.

დარწმუნებული ვართ, რომ ახლაც ისინი თავიანთ დანაშაურს არ აღიარებენ და ისევ ეცდებიან აქეთ გამოგვედავონ.

ბაბ. „დროებას“ კი კითხავთ, იგი არსებითად „ჩვენი ხმის“ ასეთ საქციელზე რა აზრს ადგია, და თავისი შენიშვნა რომ დაბეჭდა, ამით მუშების ინტერესების დაცვა უნდოდა თუ მხოლოდ „ივერიის“ წინააღმდეგ თავისი მტრობა გამოეცხადებინა.

——

ასევე აქეთ გვედავებიან მეორე საკითხშიაც. არა სოციალისტურ ელემენტების შესაკავშირებლად საჭიროა საერთო იდეალების დასახელება, საჭიროა ამ იდეალების მისაღწევ ტაქტიკის გარკვევა. მაგრამ ახალ ტაქტიკის წამოყენება არ შეიძლება, თუ ჯერ კრიტიკის ქარცეცლში არ გავატარეთ ის ტაქტიკა, რომელსაც პოლიტიკური პარტიები დღემდის ადგენენ. ამ კრიტიკის დროს არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის, რასაც პარტიები სწერდენ ან ქადაგობდენ.

ეს გახსენება ჩვენ მოწინააღმდეგეებს პოლიტიკური მაბეზღრობა ჰგონიათ. როგორ იქმნება პროკლამაციის ხსენებაო, ეს პურიშკევიჩობა არისო.

ამნაირად იმის მაგიერად, რომ დაიცვან თავიანთების უწინდელი ტაქტიკა ან უარჰყონ იმ დროის სხვა და სხვა შეცდომა, ჩვენი მოწინააღმდეგენი აქეთ გვედავებიან და ჰგონიათ, რომ ამითი ფონს გავლენ და ხალხს თვალს აუხვევენ.

პოლიტიკური მაბეზღრობა იქმნებოდა ჩვენი მხრივ ამა თუ იმ პირის დასახელება, მაზე თითის დადება, მისი მთავრობის ხელში გადაცემა. პროკლამაციის ხსენებით ამას ჩვენ არ ჩადიგართ და საფრთხეში არავის არ ვაგდებთ. მართლაც ერთის მხრივ არა გვგონია, პროკლამაციები მთავრობას ხელში არ ჰქონდეს, მეორეს მხრივ ამ პროკლამაციების დამწერთ არავინ იცნობს და მესამეს მხრივ არავის არ შეუძლია, რამე კავშირი მონახოს ამა თუ იმ მწერლის ამღანდელ მოღვაწეობაში ხსენებულ პროკლამაციებთან. ამიტომ პროკლამაციების ხსენება სრულიად კანონიერ საპოლემიკო საშუალებათ უნდა ჩავთვალოთ.

მართლაც პარტიებისაგან დარჩენილ წერილობითი სიტყვების დასახელება პოლემიკაში თუ არ დაგვეცალა, ამა თუ იმ პროპაგანდისტისაგან ნათქვამის გამეორება თუ აგვეკრძალა,—განა პოლემიკაც შესაძლებელი გახდება და ეს განა ისეე იმ თვითმპყრობელ მთავრობის ბრძანებას არა ჰგავს, რომელიც ყველას გაჩუმებას გვიბრძანებდა და გვეუბნებოდა, რაც გინდათ ის ჰქენით, მხოლოდ ჩემზე ნურაფერს იტყვითო. ჩვენი პარტიებიც ცდილობენ მათზე არაფერი ვთქვათ.

——

უცნაურია ჩვენი პარტიული გაზეთების მდგომარეობა. როდესაც ფულის შოვნა და გაზეთის გავრცელებაა საჭირო, მაშინ ისინი მაღლა აფრიალებენ პარტიულ დროშას და ცდილობენ თავიანთი თავი პარტიულ გაზეთებად გამოიყვანონ. მაგრამ როცა მათთან პოლემიკას დაიწყებს ვინმე და მათ ნამდვილ ვინაობას აღნიშნავს,—ყვირიან, ეს მაბეზღრობა არისო. ასე გამოდის, რომ ადმინისტრაცია ამ გაზეთებს არ ათვალიერებს და მათ მიმართულებას მხოლოდ იმ გაზეთიდან იტყობს, რომელიც მათთან კამათს და პოლემიკას გაბედავს... ან ეგება ისინი იმდენად მოხერხებულად მალავენ თავიანთ ვინაობას, რომ არავის არ შეუძლია იმის გამოცნობა, თუ რომელი პოლიტიკურსა და სოციალურ იდეალებს ემსახურება ესა თუ ის გაზეთი? ეგება იმდენად დავიწყებულ-მიმალული აქვთ თავიანთი პარტიული პროგრამა, რომ მათ პარტიულ ხასიათზე ლაპარაკიც არ შეიძლება? მაგრამ მაშინ რაღა საჭიროა პარტიულ დროშის აფრიალება და ამა თუ იმ გაზეთის თავისიანებში ოფიციალურ გაზეთად გახდომა. რად ეუბნებიან მუშებს, ეს ჩვენი გაზეთია და ყველაფერი უნდა დაიკლოთ, ნაკლებ ჯამაგირში გვემსახუროთ, რომ „ჩვენი“ გაზეთი არ დაიკეტოსო? რაღად საჭიროა მსგავსი ამწყობებისგან, რა საჭიროა, რომ მეთხველებსაც ეუბნებიან,—აი ეს გაზეთია „ჩვენი“ და მხოლოდ იგი უთოოდ გამოიწერეთ და იკითხეთო?

ვის ინტერესებს იცავენ ეს გაზეთები? იმავე პირთა საფასურით და ფულით გამოდიან, ვის ინტერესებსაც იცავენ? იმათ იდეალებს იცავენ, ვინც მათ ფულსა და ზრომას სწირავს და ეს ინტერესების დაცვა ჩანს თვით გაზეთში, თუ გაზეთების მეთაურთა გულში ჩამარხულია? რაში გამოიხატება ეს ინტერესების დაცვა?

აი ეს კითხვები გვებადება გულში, როდესაც ჩვენებურ გაზეთების ფურცლებს ვაკვირდებით და საჭიროა, მკითხველი საზოგადოებაც დაუკვირდეს ხოლმე გაზეთებს და მათი ნამდვილი ვინაობა აღმოაჩინოს არა იმ იარლიყებით, რომელსაც იკრავენ გაზეთის მეთაურები, არამედ თვით გაზეთის შინაარსის მიხედვით...

მაშინ ადვილად აღმოჩნდება რამოდენიმე სიყალბე და გამართლდება ძველი ანდაზა—სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,—გაზეთის შინაარს ამა თუ იმ პარტიის პროგრამასთან საერთო არა ექმნება რა...

ეს დაკვირვება დიდ სარგებლობას მოუტანს თვით გაზეთებსაც, რადგანაც მკითხველ საზოგადოების კანტროლი მათ აიძულებს ან პრინციპები უფრო მკაცედ დაიკვან ან ამ პრინციპების უვარგისობა აღიარონ.

ორთავე შემთხვევაში ხალხის შეგნება დიდ ნაბიჯს გადასდგამს და მისი გონებრივად განთავისუფლება უფრო გაადვილდება.

მეთვალყურე

ᲗᲣᲜᲔ

(მიძღვნილი განსვენებულ ან. სოფიო ვასილ. ასულ ამირეჯიბისადმი)

(ბუშკინთი)

მოაჯირთან ვარ ნესტიან საპარტალეში,
არწივი ნორჩი აღზრდილი თავისუფლებით,
ჩემი მშმუნვარე ამხანაგი, ფრთების ფრთხილი
ჭეკნკავს საშემლსა სისხლიანსა, ფანჯრისა ქვევით.

—

ჭეკნკავს და ჭფანტავს, იცქირება თან ფანჯარაში,
თითქო ჭფიქრობსო ერთ საგანზე ჩემთანა ერთად;
მეძახის მე ის ხმაურობით და თავის ცქერით სსურს რომ წარმოსთქვას: მოდი, ძმაო, გავფრინდეთ ერთად.

—

თავისუფალნი ფრინველნი ვართ, დროა, ძმაო, დრო!
იქით, სადაცა ლაჟვარდნებენ ზღვისა კიდენი,
იქით, სადაცა ღრუბლებს იქით ქაოქაოებს მთანი,
იქით, სადაც ვართ მე და ქარი მოსეირნენ.

დაუცხრომელი

ᲒᲐᲪᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲙᲘᲗᲘᲗ

თავადი ჩიხტურა

ქართლში არის სოფელი გადაპიმული, სახელი მისი ქვემო ჯალა. ოდესმე, როცა არც რკინის გზა იყო და არც დერეფნა, აქ დიდებული თავადი ამილახვარი ცხოვრობდა. ამ დიდებულ თავადს ნათესავიც, ეზომეელიც, გამვლელიც და გამომვლელიც თავად ჩიხტურას ეძახდა. მეც ჩიხტურას დავუძახებ.

ძალიან მხიარული კაცი იყო ჩიხტურა. მას ჰქონდა დიდი დარბაზი, დარბაზის ერთ კედელში თლილის ქვით აგებული ბუხარი იდგა. ამ თლილ ქვაში მარმალილო იყო ჩასმული და ზედ ეწერა:

გამხიარულდი ბუხარო
გთხოვთ მოწყენილი ნუ ხარო.
სტუმრისათვის ვყვირი მე
გათბი, შენი ჯირმე.

—

ბუხრის ორივე მხრივ გრძელი და განიერი ტახტები იდგა მთელ დარბაზის სიგრძეზე. ბუხრის წინ იდგა ჩიხტურას კაკლის ხის სავარძელი. ამ ტახტზე იყო გამწკრივებული შკაფები, კამოდი და კედლებში ჩატანებული წალიები და განჯინები. ერთი სიტყვით მთელი წლიური სარჩო ამ ოთახში იყო მოთავსებული. სუფრა ამ ტახტებზე იშლებოდა ხოლმე. სუფრა რომ ალაგდებოდა, ლოგინიც მაშინვე გაიშლებოდა. ბუხარი ჩიხტურას ზამთარ-ზაფხული გაჩაღებული ჰქონდა. ჩაჯდებოდა ჩიხტურა სავარძელში, პირში ეჭვს ადიოან ჩიბუხს ჩაიდებდა და ბუხარს წინ მიუჯდებოდა.

ჩიხტურას ეკითხებოდენ—ზაფხულში ბუხარი რად გინთიაო?

— მაშ ჩიბუხს ცეცხლი როგორ მოუკიდოო, მიუგებდა ხოლმე ჩიხტურა.

ძალიან პუმარილიანი კაცი იყო ჩიხტურა და სტუმარი ძალიან უყვარდა. არ შეეძლო უსტუმროდ ერთი ყანწი ღვინო დაელია—ლუკმა ყელში არ ჩასდიოდა: სტუმრის დროს კი მის მადას და მხიაროდსაც ჩვენებურ გაზეთების ფურცლებს ვაკვირდებით და საჭიროა, მკითხველი საზოგადოებაც დაუკვირდეს ხოლმე გაზეთებს და მათი ნამდვილი ვინაობა აღმოიჩინოს არა იმ იარლიყებით, რომელსაც იკრავენ გაზეთის მეთაურები, არამედ თვით გაზეთის შინაარსის მიხედვით...

მაშინ ადვილად აღმოჩნდება რამოდენიმე სიყალბე და გამართლდება ძველი ანდაზა—სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,—გაზეთის შინაარს ამა თუ იმ პარტიის პროგრამასთან საერთო არა ექმნება რა...

ეს დაკვირვება დიდ სარგებლობას მოუტანს თვით გაზეთებსაც, რადგანაც მკითხველ საზოგადოების კანტროლი მათ აიძულებს ან პრინციპები უფრო მკაცედ დაიკვან ან ამ პრინციპების უვარგისობა აღიარონ.

ორთავე შემთხვევაში ხალხის შეგნება დიდ ნაბიჯს გადასდგამს და მისი გონებრივად განთავისუფლება უფრო გაადვილდება.

მეთვალყურე

ᲗᲣᲜᲔ

(მიძღვნილი განსვენებულ ან. სოფიო ვასილ. ასულ ამირეჯიბისადმი)

(ბუშკინთი)

მოაჯირთან ვარ ნესტიან საპარტალეში,
არწივი ნორჩი აღზრდილი თავისუფლებით,
ჩემი მშმუნვარე ამხანაგი, ფრთების ფრთხილი
ჭეკნკავს საშემლსა სისხლიანსა, ფანჯრისა ქვევით.

—

ჭეკნკავს და ჭფანტავს, იცქირება თან ფანჯარაში,
თითქო ჭფიქრობსო ერთ საგანზე ჩემთანა ერთად;
მეძახის მე ის ხმაურობით და თავის ცქერით სსურს რომ წარმოსთქვას: მოდი, ძმაო, გავფრინდეთ ერთად.

—

თავისუფალნი ფრინველნი ვართ, დროა, ძმაო, დრო!
იქით, სადაცა ლაჟვარდნებენ ზღვისა კიდენი,
იქით, სადაცა ღრუბლებს იქით ქაოქაოებს მთანი,
იქით, სადაც ვართ მე და ქარი მოსეირნენ.

დაუცხრომელი

ᲒᲐᲪᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲙᲘᲗᲘᲗ

თავადი ჩიხტურა

ქართლში არის სოფელი გადაპიმული, სახელი მისი ქვემო ჯალა. ოდესმე, როცა არც რკინის გზა იყო და არც დერეფნა, აქ დიდებული თავადი ამილახვარი ცხოვრობდა. ამ დიდებულ თავადს ნათესავიც, ეზომეელიც, გამვლელიც და გამომვლელიც თავად ჩიხტურას ეძახდა. მეც ჩიხტურას დავუძახებ.

ძალიან მხიარული კაცი იყო ჩიხტურა. მას ჰქონდა დიდი დარბაზი, დარბაზის ერთ კედელში თლილის ქვით აგებული ბუხარი იდგა. ამ თლილ ქვაში მარმალილო იყო ჩასმული და ზედ ეწერა:

გამხიარულდი ბუხარო
გთხოვთ მოწყენილი ნუ ხარო.
სტუმრისათვის ვყვირი მე
გათბი, შენი ჯირმე.

—

ბუხრის ორივე მხრივ გრძელი და განიერი ტახტები იდგა მთელ დარბაზის სიგრძეზე. ბუხრის წინ იდგა ჩიხტურას კაკლის ხის სავარძელი. ამ ტახტზე იყო გამწკრივებული შკაფები, კამოდი და კედლებში ჩატანებული წალიები და განჯინები. ერთი სიტყვით მთელი წლიური სარჩო ამ ოთახში იყო მოთავსებული. სუფრა ამ ტახტებზე იშლებოდა ხოლმე. სუფრა რომ ალაგდებოდა, ლოგინიც მაშინვე გაიშლებოდა. ბუხარი ჩიხტურას ზამთარ-ზაფხული გაჩაღებული ჰქონდა. ჩაჯდებოდა ჩიხტურა სავარძელში, პირში ეჭვს ადიოან ჩიბუხს ჩაიდებდა და ბუხარს წინ მიუჯდებოდა.

ჩიხტურას ეკითხებოდენ—ზაფხულში ბუხარი რად გინთიაო?

— მაშ ჩიბუხს ცეცხლი როგორ მოუკიდოო, მიუგებდა ხოლმე ჩიხტურა.

ძალიან პუმარილიანი კაცი იყო ჩიხტურა და სტუმარი ძალიან უყვარდა. არ შეეძლო უსტუმროდ ერთი ყანწი ღვინო დაელია—ლუკმა ყელში არ ჩასდიოდა: სტუმრის დროს კი მის მადას და მხია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებას საზღვარი არა ჰქონდა. ყველაფერი პურადი იყო ჩიხტურა, მხოლოდ ფულის მიცემა და ვალის გასტუმრება ეზარებოდა. მოსდიოდა და მოსდიოდა ოკლადნი ლისტები, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ ჩიხტურა ამაზე ყურსაც არ იბერტყავდა.

სოფლის მამასახლისი ოკლადნი ლისტებს მოიტანდა და ეტყოდა:

„დიდებულო თავადო, ძალას მატანენ; თუ შეიძლება აი რაღაც ქაღალდებია ხაზინის ვალი გაიტეტრეთ“. ჩიხტურა კი იმის მაგიერ რომ ფული მიეცა, ამ მამასახლისს ორნახევარ თუნგიან ღვინოს გადაკვრეგინებდა და შეზარხოშებული მამასახლისიც თავის გზას დაადგებოდა.

შემდეგ იგივე ოკლადნი ლისტებით პოლიციის ბოქაული მოვიდოდა.

ბოქაულს ჩიხტურა კიდევ სხვა ნაირად უხვდებოდა: დაუკლავდა ხბოს, მოუხდიდა ორი კოკიან წითელ ღვინოს და ამ რიგად ბოქაულს მის ოკლადნი ღირსებით შინ ისტუმრებდა.

ბოქაულის შემდეგ თვითონ დიანბეგი მოვიდოდა. დიანბეგს ჩიხტურა სამი ვერსის მანძილზე მიეგებებოდა თავის ცხენით და მხლებელებით. მოვიდოდენ თუ არა კარებზე, ჩიხტური იძრობდა ხმალს და იქვე მდგომ ძროხას ერთის დაკვრით თავს აგდებინებდა. მოახდევინებდა ოკ კოკიან ქვევრს, მეზობლებს და გამვლელ-გამოვლელს დაუპატიჟებდა, დიდ პატივსცემდა დიანბეგს, წასვლისას ერთ ცხენსაც უთავაზებდა და დიანბეგიც კმაყოფილი თავის გზას გაუდგებოდა.

არა ერთხელ მოსულა დიანბეგი ამ სახლში რა კი მას უკვე გაუტეხია ჩიხტურას ჩინებული მასპინძლობა.

ერთხელ ზამთარი იყო, ფწვია ჩიხტურას ჩვეულებისამებრ დიანბეგი. დიდი ლხინი გაჩაღდა. სწორედ ამ დროს ტფილისიდან მმიარა საზანდარმა ასტანამ მეთარით, მეკუანურეთი, დიპლიპიტოთი და ნალარითა. ეს დასტა მიდიოდა ფროონის ხეობაში, სადაც სამის დღის შემდეგ ერთ ქორწილს უნდა დასწრებოდენ.

ჩიხტურას ძალიან იამა საზანდრის ასეთი მოულოდნელი ამოსვლა. ასტანამ ჩაკაკანა, დაჰკენწესა ბაიათი, რაპაბი, შუშტარი, შაბნაზი... მხიარულებას და ტაში კვრას საზღვარი არა ჰქონდა.

დიანბეგი თავის მხლებელებით წაბრძანდა და ლხინიც დაიშალა. საზანდრის დასტას ჩიხტურამ უთხრა; ძალიან მადლობელი ვარ ასეთ პატივისცემისთვის, თქვენ დიდი საჩუქრის ღირსი ხართ, მაგრამ ფული არა მაქვს,—კალლობის დროს ჩამოდით, ტომრები მოიტანეთ, ჭინახუხულით აგივსებთ ტომრებს და გაგისტუმრებთ.

ასტანამ ჩიხტურას დიდი მადლობა გადაუხადა. და თავისი დასტით ფროონის ხეობისკენ წავიდა.

მოვიდა კალლობაც. ერთ მშვენიერ დღეს ჩიხტურა კალლზეა და ოთხი დღის ნალეწი პური ას ორმოც კოდამდე კალლიდან ასაღები აქვს და ანიავებს. უცბად მოადგა კალლზე ასტანა ურმით და ტომრებით. ორმოცდაათ ტომარაზე მეტი ფლო. ჩიხტურა მიხვდა საქმე რაშია და ასტანას ძალიან ციცად დაუხვედა.

„დიდებულო თავადო, ჩვენო ნუგეშო, უთხრა თავის დაკვრით ასტანამ, გიახელით და ორმოცდა ათი ტომარაც მოგართვით. ხვავიც კალლზეა და იმედია ამავე ურმით გამისტუმრებთ,—იმედი მაქვს სხვა ურმებსაც მათხოვებთ“.

— მე შენი ლაპარაკის არაფერი არ მესმის, ხომ არ გაგიჟდი, რა ხვავი, რის ურემი უნდა მოგაცე?..

— აკი თქვენ დაგვპირდით კალლობაზე მოდით და გაგისწორდებითო.

„რას დაგპირდი, როდის დაგპირდი“, ჭკთხა ჩიხტურამ.

— ნუ თუ დაგავიწყდა, დიდებულო თავადო, უთხრა გაკვირვებულმა ასტანამ, —ზამთარში მთელი დასტით თქვენთან რომ გიახელით და გასიამოვნეთო.

„მახსოვს, ძალიან კარგად მახსოვს, რომ თქვენ დაუკარით და მე მასიამოვნეთ, მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, რომ მეც დაგპირდი და ამ დაპირებთ ხომ მეც ძალიან გასიამოვნეთ, ასე რომ თქვენ დაუკარით—მე მიამა და მე დაგპირდით —თქვენ გიამათ,—მე მგონია გასწორებული ვართ... მეტი რაღა გეტყვებათ.

ამ სიტყვების შემდეგ ჩიხტურამ ასტანა პურ უმმელად გისტუმრა, ამბობენ ეს ორმოცდა ათი ტომარაც თვითონ დაიტოვა,—როგორც ასტანამ მე მაწყენინა ოავისი სიტყვებით ისე მასაც ეწყინოს და ამაშიაც გავსწორდებითო.

ჩიხტურას დაბა საჩხერეში ჰყავდა დიდებული თავად წერეთელზე გათხოვილი და სახელად ქეთევან.

საჩხერედან ჩიხტურას საგანგებოდ გამოგზავნილი ცხენოსანი მოუვიდა, რომელმაც სამგლოვიარო დაბეჭდილი ბარათი მოუტანა. ამ ბარათში ეწერა, თქვენი საყვარელი და გარდაიცვალა და 8 ენკენისთვეს ვასაფლავებთო.

თქვენ მტერს მოუვიდეს რაც ამ წერილმა საცოცხლე ჩიხტურას თავზარი დასცა. მეტი რა ჯანი იყო, დაიბარა თავისი მახლობლები, მეგობრები, მხლებელები და ოცდა ათ ცხენოსანზე მეტი გაემგზავრენ იმერეთისკენ.

ესეც უნდა ვთქვათ, რომ ჩიხტურამ ერთ მახლობელ სწავლულ კაცს დაუწერინა სიტყვა, რომელიც თავის გარდაცვალებულ დის საფლავზე უნდა ეთქვა. ეს დაწერილი სიტყვა დაეკეცა და თავის წოწოლა ბუბარის ქუდში შეინახა და სთქვა, ამას გზა-გზა ზეპირად დავისწავლიო.

გიაურეს 60 ვერსი, მივიდენ ს. ზემო გომში. აქ მიეგება დიდებულ ჩიხტურას ადგილმამრავი მედუქნე იორდანე, რომელმაც სტუმრებს სუფრა გაუშალა. და ხუთკოკიანი მოუხადა:

ჩიხტურა თავის მხლებლებით ძალიან შეზარხოშდენ გარდაცვალებულ დის შესანდობარი დალიეს. მედუქნე იორდანესაც უთხრეს დაბრუნების დროს გაგისწორდებითო და ისევ გზას გაუდგენ.

გაიარეს სოფლები ვაყა, დუმაცხო, ალი; ავიდენ ულუმბაში, აქედან დაეშვენ ჯვრისაკენ. ეს ჯვარი ჰყოფს ქართლსა და იმერეთს. აქაც მიეგება ცნობილი მედუქნე ნანია, რომელიც ძროხა დაუკლია და თორმეტ კოკიანი ქვევრი მოუხადა. ხაშლამა, ბეკი საწყლითი, ცვრიანი მწვადები, სვირული ღვინო და ამათ ხომ მეტიც არაფერი უნდოდათ ისევე გაუსწორდენ როგორც იორდანეს.

აქაც შეზარხოშებას გადაეკარებეს და ს. ბორიულისაკენ წავიდენ. ბორიულშიაც მიუშატეს გადაკვრა და საღამოს 7 საათზე მოვიდენ საჩხერეში. აივნის კიბეზე რომ ავიდა ჩიხტურა თავის მხლებლებით, მრავალმა მომტირლებმა დიდებულ თავადს გზა მისცეს. ჩიხტურა, რასაკვირველია, არავის მიესალმა და პირდაპირ წავიდა კუბოსაკენ, რომელიც ერთ დიდ დარბაზში იდგა.

დიდი და პატარა ქართლის დიდებულ თავადს უცქეროდა,—უნდოდათ გაეგოთ, როგორ იტირებდა იგი თავის დას.

ჩიხტურა დადგა ახლილ კუბოს წინ, მიცვალებულს ეთხეია, მაგრამ არ იცის რა სთქვას. უცბად მოაგონდა, რომ ქუდში ნასწავლი ,,კაცისაგან დაწერილი სიტყვა აქვს. ამოიღო ეს ,,ქაღალდი და მიცვალებულს გულზე დაადო ამ სიტყვებით:

— საყვარელო დაო ქეთევან, ხომ იცი, როგორ მიყვარდი. ისე მიყვარდი და ისე მეწყინა შენი სიკვდილი, როგორც აი ამ ,,ქაღალდში სწერია.

ამ სიტყვების გაგონებაზე მგლოვიარე ხალხს სიცილი წასკდა. ჩიხტურა გარეთ გამოვიდა.

ამნაირად იტირა ჩიხტურამ თავისი საყვარელი და ქეთევანი.

ამოდენა დარდიანდლობაში და ქეიფში ჩიხტურას კარგი ვალები დადგო, დიანბეგიც შემოუწყრა: უკანასკნელად ნაჩუქი ცხენი არ მოგწონა. ჩიხტურას ხაზინის ვალი 1200 მანეთი შეუსრულდა. მაგრამ უბედურ კაცს ქვა აღმართშიაც თუ დაწვავ, ბედნიერს თავ დაღმართშიც ვერაფერს აენებს. ასე დამმართა ჩიხტურასაც ხელშეწყობს პეტერბურღში ვაჟი ეყოლა და მანიფესტის ძალით ჩიხტურას ხაზინის ვალიდან ხუთასი მანეთი ეპატია.

იმმა ჩიხტურას, სტუმრობა გადაიხადა, მეზობლები დაიპატიჟა. ამ სტუმრობაში ერთმა სახლიკაცმა ლუარსაბმა უთხრა ჩიხტურას:

— ახლა ხომ მარტო 700 მანეთი დაგრჩა ვფიქრობ, ეს ვალი მარგმ დროზე გადაიხადეთო.

„ერეჰეა, სულელი რად გაგაჩინა ღმერთმა, — ასე უიმედობაც არ ვარგა, შემდეგასთვის ალბად კიდევ მანიფესტი იქნება,— ღმერთმა გამმრავლოს მისი ოჯახი. შენი რჩევა შენთვის შეინახე და ამ ყანწში ალავერდიაო, მიაძახა თავმომწონედ ჩიხტურამ და ყანწი ლუარსაბს გადაუწოდა.

მართლაც ერთი წლის შემდეგ აკი ისევე ეყოლა პეტერბურღშივე ხელმწიფეს ვაჟი და ახალი მანიფესტი გამოვიდა, კიდევ ეპატია ჩიხტურას ხუთასი მანეთი.

კიდევ ერთი წლის შემდეგ მესამე მანიფესტი რომ გამოვიდა, ჩიხტურას მხოლოდ 200 მანეთი ხაზინის გადასახადი ეპატია, რადგანაც მაზე მეტი დარჩენილი არ იყო.

ეწყინა ჩიხტურას, თავში ხელი იკრა, —ეს რა უბედურება დამემართაო: სხვებს ხუთას ხუთასი მანეთი ეპატია, მე კი მხოლოდ 200 მანეთი მერგოო. წადიდა იმავე-სწავლულ კაცთან, რომელმაც დის სამძიმარი დაუწერა და თავისი უბედურება შესჩივლა და ( ) თხოვა,—ხელმწიფესთან არ ბრალდებიო,—მხოლოდ 200 მანეთი მეპატიეა, რადგან მეტი ვალი არ მქონდა, ეს ჩემთვის დაკარგული 300 მანეთი გამომგზავნოსო.

დაწერეს არზა და პეტერბურღში გაგზავნეს. ამბობენ იქ ეს არზა ისე მოსწონებიათ, რომ ჩიხტურას ( ) ( ) ( )

არსებობს ქალაქის განაპირა სხვა ადგილებზე.

და კომისიას თუ არ შეუძლია, ან რაიმე მიზეზისა გამო თუ არ სურს მიწებზე ფასი დაუკლოს, ეს დაკლება უნდა იკისროს ქალაქის გამგეობამ ან ქალაქის საბჭომ, რადგანაც მათ, კასსაში მეტი ფულის შემოსვლის გარდა, უნდა ჰქონდეს კიდევ სხვა მიზანი—ადგილობრივ მცხოვრებთა კეთილდღეობა, რომელიც ქალაქის კასსისთვის უფრო საიმედო და მუდმივი წყაროა ვიდრე მიწების გაყიდვით ერთხელ შემოსული თანხები.

სხვა ქალაქებში თვითმმართველობა თვითონ ცდილობს განაპირა ადგილებში მოსახლეობა მოაწყოს, ხშირად კრედიტსაც უწენს ამ ადგილებში სახლის აგების მსურველს, უადვილებს დროებით ქალაქის სხვა და სხვა გადასახადს და ხელოვნურად ზრდის ქალაქს, რომ ამით მკვიდრი ნაადგილ გაუჩინოს თავის შემოსავალ-გასავლის საქმეს და ქალაქის ბუნებრივი ზრდა არ დაბრკოლოს.

ასევე უნდა მოიქცეს ტფილისის თვითმართველობაც.

არ უნდა დავიიწყოთ, რომ მცხოვრებლების სწორედ ის კლასსი, რომელიც ნაძალადევისთანა ადგილებში იჩენს პირველ საზოგადოდ ნაკლებად უჭრუნველყოფილია ქონებრივად და ამიტომ სწორედ ასეთ ხალხს სჭირია მეტი ხელის შეწყობა, რომ ფეხი მოიკიდონ ქალაქში და ამით ქალაქის ზრდასა და კეთილდღეობაში დაინტერესდენ.

ამიტომ ჩვენც იმედი გვაქვს, რომ კომისიის მიერ ხელმეორედ შეფასებული მიწები ნაძალადევის ხალხს კიდევ ნაკლებ ფასებში გადაეცემათ და რომ ქალაქის გამგეობა და საბჭო ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ და ამით ხალხის სიყვარულს და ქალაქის ძირითად ინტერესების შეგნებას გამოიჩენენ.

ადგილობრივი

დაბა-სოფელში

დ. ხ ნი. 13 იანვარს აქ ჩამოვიდა ჟანდარმი, მისი ოფიცერი და პოლკოვნიკი. ჩამოსვლისთანავე გაჩხრიკა სამოსწავლო სემინარიის მოწაფის ვ. ძიძიგურის მაგიდა და საწოლი მდიანი სასწავლებელში. საწინააღმდეგო ვერაფერი აღმოაჩინეს. შემდეგ თვით ვ. ძიძიგური წაიყვანეს პოლიციაში და ჩამოართვეს ჩვენება. ჟანდარმის პოლკოვნიკმა ჩვენების ჩამორთმევის დროს სხვათა შორის შეეკითხა, თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდა. ძიძიგურმა უპასუხა, მოწაფე ვარ, მე ჩემი საქმე მაქვს,—რა მებარტიებაო. როგორც პოლიციას უთქვამს მიჩეზი ვ. ძიძიგურის გაჩხრეკისა ყოფილა ის, რომ თბილისში პოლიტიკურ ტუსაღისათვის აღმოუჩენიათ ვ. ძიძიგურის წერილი. ეს კი ცხადია რომ ხონში დღითი დღე მრავლდება ენაგძელ მაბეზღარები, რომელნიც პირად ინტერესების გამო საზიზღარ ხელობის მორეგვში იფლობიან. ჟანდარმთა პოლკოვნიკი მივიდა შემდეგ სახელოსნო სასწავლებლის გამგესთან და მასაც ჩამოართვა ჩვენება

აქეთ თებერვლის პირველ რიცხვებში გამართეს ერთხელ ლოტო და ერთხელაც საცეკვაო საღამო. ორივე ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ იყო. როგორც გავიგე, შემოსავალი ხარჯის გარდა დარჩა 100 მანეთი.

აქ მოხდა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. კრებამ აირჩია გამგეობა 7 კაცისაგან შემდგარი და სამ სამი კაცი სარევიზიო კომისიის წევრებად და გამგეობის წევრთა კანდიტატებად. დაისახეს მახლობელი სამოქმედო მიზანი და ეგრეთვე განსაზღვრეს სამოქმედო ადგილები. ვუსურვებთ გამგეობას ენერგიულ მუშაობას ხონელების საკეთილდღეოდ, ვუსურვებთ, რომ გამძლავრდეს, გამდიდრდეს და მოქმედება გაიფართოოს. კარგი იქნება გამგეობა ერთი რომ სამკითხველოს ეზრუნველობას აღმოუჩენდეს და მეორეთ მოკიდებდეს ხელს თეატრის საქმეებს და ჩაუყრიდეს მტკიცე საძირკველს ამ ერთად ერთ კულტურულ დაწესებულებას. სასურველია ეგრეთვე ხონის ინტელიგენცია ამ დაწესებულებაშიაც არ გამოიჩენდეს ჩვეულებრივ გულგრძლობას უილაჯობას და უენერგიობას.

—

აქეთ ერთ ტურნალგაზეთების აგენტს მოულოდნელად მოუვიდა პ. აკობიას უკანასკნელი ბროშურა „არ შეიძლება“. წიგნი რომ არ გაყიდულიყო აგენტი შაურის მაგიერ ორ შაურათ ყიდდა. აი როგორ ფუქდება კაცი ამხანაგის მოვალეობის ასრულების დროს.

—

9 და 10 თებერვალს აღმოსავლეთიდან ამოვარდა საშინელი ქარი, რომელმაც ოტა ზარაღიც მოიტანა, ზოგან ალაგ-ალაგ სახლს აქცევდა, ზოგან კი სახურავს აძრობდა.

—

ამ უკანასკნელ ხანებში ქურდ ბაცაცობა პროგრესიულ გზით ვითარდება. ამ დღეებში გლეხკაცმა გაყიდა უღელი ხარი 160 მანეთად, მას დაეცნენ თავზე ვიღაც ბოროტ გამზრახველები და წაართვეს.

—

—ხმები დადის, რომ ამ მოკლე ხანში, როდესაც გუბის წყალზე ხიდს გაკეთებენ, ავტომობილს გამოიყენენო. სასურველია, რაც შეიძლება ადრე გაკეთონ ხიდი, რათა ავტომობილს ვეღირსოთ და ავიცილოთ თავიდან მედელეენთა ექსპროპრიაცია.

ვინმე იმერელი

გიმნაზიის გახსნა გამო ქ. ოზურგეთში. დიდი ხანია მას აქვთ, რაც გურულები დიდის სიყვარულობით და წყურვილით მიზდევენ სწავლა განათლებას, და ენერგიულათ ეკიდებიან ყოველივე კულტურულ საქმეს, რასაც ამტკიცებს თითქმის ყოველ საზოგადოებაშიდ გახსნილი სკოლები და უფასო სახალსო სამკითხველოები. ზოგიერთები დაბალ განათლებით არ აკმაყოფილებენ თავის შვილებს. და გზავნიან მათ სხვა ქალაქებშიდ და იქ საშუალო სასწავლებლებში აბარებენ, რასაკვირველია, ვისაც სახსარი აქვს, ვისაც არა, ის იძულებულია თავის ხვედრს შეურიგდეს, თავისი შვილი ან ყანაშიდ ამუშავოს და ან სადმე ადგილში ჩააყენოს. ეს ხდება იმიტომ, რომ ქალაქშიდ ბავშვის შენახვა მეტადრე ეხლა ძრიელ ძვირად ჯდება, 20-25 მანეთი მინც ტ სწორეთ ამას ოზურგეთის ქ. თავმა მიაქცია პირველათ თავისი ყურადღება, გად სწყიტა მოშავალ სამოსწავლო წლიდგან გახსნას ქ ოზურგეთში ქალების და ვაჟების გიმნაზია, მთელი გურიის მცხოვრებლების დახმარებით. ეჭვი არაა, რომ გურულები ენერგიულად მოეკიდებიან ამ საქმეს და საერთო თანხით გახსნიან გურიის ცენტრში, თავის დედა ქალაქში ამ ცოდნის ტაძარს. გურულებს რომ საშვალო სასწავლებლის შენახვა შეუძლია, ამაში ეჭვი არაა. თითო მცხოვრებმა რომ ხუთი მანეთი გადიხადოს ორი წლის ვადით ეს საკმარისი იქნება. ამას თაობს ქალაქის თავი ბ. ბებურიშვილი რომელმაც გამოსცა მოწოდება გურულებისადმი და დაგზავნა გურიის ყველა საზოგადოებაში; იგი ეეედრება ხალხს გახსნას ეს დიდებული განძი თავის ეზოშიდ... გადახვეწილნი გურულები არ ივიწყებენ თავის შობელ მხარეს, და შეძლებისაგვარათ სწირავენ თავის წვლილს ამ დიდებულ საშვილიშვილო საქმეს. იმედია გურულები დიდის ენერგიით მოკიდებენ ხელს ამ საქმეს და სასიხარულოთ დაგვირგვინებენ. დასასრულ ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა იმ სასწავლებლებზედ, რომელნიც არსებობენ ოზურგეთში. სასულიერო სასწავლებელში სულ 60 მოწაფეა, სწავლაც არ მიდის სრულ რიგზედ, შენობა ხომ მთლად წამხდარია, გურიის სამღვდელოება კი ამაზედ არაფერს ფიძრობს...

არც საქალაქო სასწავლებელი არის სრულ რიგზედ, იქ გასულ წელს არსებობდა პირველ-დაწყებითი განყოფილება, მაგრამ რაღაცა მიზეზების გამო ეს დაურეს, და ქალაქში პირველ დაწყებითი სასწავლებელი მოსპეს. დიდი მადლიერი უნდა ვიყოთ ვერა ღლონტი, კაკა ნაკაშიძის და გეგ. გოგიტიძის. როშლებიც ძრიელ ხელ მისაწდომ ფასებშიდ ასწავლიან ბავშვებს, თავის კერძო შკოლაშიდ!...

გრიშა. გურული

რედაქტორ-გამომცემელი
კ. ი. ხერხეულიძე.

23, 24, 25, 26, 27 ᲓᲐ 28 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲥᲕᲡ ᲓᲦᲔᲡ

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲐᲤᲝᲑᲐ

პ. ს. დოროჟნოვის

სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის ს. ტელეფ. № 583.

რაკი მთელი ის აუარებელი საქონელი, რომელიც იაფობაში გადაცემული იყო, ასე მალე ვერ გაიყიდებოდა, და რაკი ზოგიერთმა საქონელმა გზაში დაიგვიანა, ამიტომ რაც დარჩა და რაც ახლა მოვიდა კიდევ ექვსი დღის განმავლობაში ე. ი.

23, 24, 25, 26, 27 და 28 თებერვალს

გაიყიდება ისევე განსაცვიფრებელ იაფ ფასებში

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲘᲐᲤᲐᲓ

იაფობის დროს მაღაზია ღიაა დილის 9—2 ნახევ. საათამდის და ნასადილებს 4—6 ნახევ. საათამდი

განსაცვიფრებელი იაფობა
შალეულობის განყოფილებაში

განსაცვიფრებელი იაფობა
აბრეშუმეულობის განყოფილებაში

არა ჩვეულებრივი იაფობა
ტილოს ფერად მიტკლების და სათეთრეულე მატერიების განყოფილებაში

არა ჩვეულებრივი იაფობა
ქალის შეკერილ თეთრეულის განყოფილებაში

განსაცვიფრებელი იაფობა
ნაქსოვ საქონლის განყოფილებაში ჩულქები და წინდები

განსაცვიფრებელი იაფობა
მაუდის განყოფილებაში

განსაცვიფრებელი იაფობა
მიტკლის და ბამბეულობის განყოფილებაში

არა ჩვეულებრივი იაფობა
სუფრების სალფეთქების და საზაფხულო საბნების განყოფილებაში

არა ჩვეულებრივი იაფობა
კაცის შეკერილ თეთრეულის განყოფილებაში

განსაცვიფრებელი იაფობა
მებელის მატერიების განყოფილებაში

არა ჩვეულებრივი იაფობა: ზამთრის საბნები, თბილი ხელსახოცები და შალები

იაფობის დროს მაღაზია ღიაა დილის 9 საათიდან $2\frac{1}{2}$ საათამდინ და ნაშუადღევის 4—$6\frac{1}{2}$ საათამდინ

P. S. **მაღაზია ძალიან გადიდებულია, მირიმანიანული მაღაზიის სადგომიც მასთან ერთ მაღაზიათ არის შეერთებული.**

2 მარტიდან მაღაზიაში გაიყიდება ახალი სეზონის

ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ

პ. ს. ᲓᲝᲠᲝᲟᲜᲝᲕᲘᲡ

1870 г. GRAND PRIX. 1882 г.
Парижи 1900 Წ.

1865 г. ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ 1896 г.

ᲒᲐᲚᲝᲨᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

1860.
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.

რუსეთ-ამერიკის რეჭინის მანუფაქტურის ამხანაგობისა

ᲤᲘᲠᲛᲘᲗ „ᲡᲐᲛᲙᲣᲗᲮᲘ“ ს.-პეტერბურგში.

ᲕᲐᲡᲣᲮᲡ ᲕᲐᲒᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐᲐ

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ. 50—4

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲐᲛᲮ. “ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ“-ᲡᲐ, ᲛᲓᲐᲗᲝᲕᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ №1, ᲢᲔᲚᲔᲤ. № 539.